მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 07

2019 წ. " 15 " 11

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის" პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის №46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი უკუკავშირის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა

და აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ აკრედიტაციის დებულების მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ მათგანთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც ,,არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება:

2.1. 2019 წლის 19 აგვისტოს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №3/163 (ცენტრში რეგისტრაციის №1063797) სააკრედიტაციო განაცხადი ,,პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს №751 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 სექტემბრის №818 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 18 სექტემბერს განახორციელა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2019 წლის 22 ოქტომბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასებულ იქნა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
1. პროგრამის შინაარსი		√	
2. პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რესურსები	√		

2.3. საბჭომ შეისწავლა პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირი.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 15 ნოემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის პოზიციის ზეპირი მოსმენის საფუძველზე, საბჭომ საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, დაწესებულებამ პროგრამის მოდიფიცირების გზით კომპონენტები დაამტკიცოს მოდულის ან სილაბუსის ფორმით, თითოეული მოდულის შესწავლისას გამოსაყენებელი მეთოდები იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული და მორგებული სწორედ იმ კომპონენტზე, რომელშიც არის ასახული;

ბ) დაწესებულებამ უნდა მოახდინოს პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების/კომპეტენციების მოდიფიცირება და სწავლის შედეგების რუკასთან თავსებადობა;

გ) მიზანშეწონილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტისათვის დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სასწავლო მასალა/ჰენდაუთები, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

3. სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის" მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა" და მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის 2019 წლის 19 აგვისტოს №3/163 (ცენტრში რეგისტრაციის №1063797) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამის შესახებ (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის №02 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები:

ა) მიზანშეწონილია, დაწესებულებამ პროგრამის მოდიფიცირების გზით კომპონენტები დაამტკიცოს მოდულის ან სილაბუსის ფორმით, თითოეული მოდულის შესწავლისას გამოსაყენებელი მეთოდები იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული და მორგებული სწორედ იმ კომპონენტზე, რომელშიც არის ასახული;

ბ) დაწესებულებამ უნდა მოახდინოს პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების/კომპეტენციების მოდიფიცირება და სწავლის შედეგების რუკასთან თავსებადობა;
გ) მიზანშეწონილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტისათვის დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სასწავლო მასალა/ჰენდაუთები, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 6 თვე (22.05.2020).

6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს - 2019 წლის 22 ნოემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარე
ნანა ჭიღლაძე

სხდომის მდივანი
თეიმურაზ ჩიხრაძე

დანართი №1

№	ინფორმაცია პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესახებ	
1	პროგრამის დასახელება	პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	___
4	სწავლების მეთოდი / ფორმა	საკლასო მეცადინეობა
5	საათების რაოდენობა	24
6	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი №53ა, თბილისი, 0179, საქართველო
7	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	22.11.2019
8	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	6 თვე (22.05.2020)
9	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	22.11.2024